

შპს „საგურამო ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	5
2. საოპერაციო გარემო.....	5
3. მომზადების საფუძველი.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	12
6. ძირითადი საშუალებები	13
7. სხვა გრძელვადიანი აქტივები.....	13
8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	14
9. სახელმეკრულებო აქტივები და ვალდებულებები	14
10. კაპიტალი.....	14
11. ნასესხები სახსრები	14
12. სავაჭრო და სხვა დავალიანება	16
13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	16
14. პირობითი ვალდებულებები	16
15. ფინანსური ინსტრუმენტები	16
16. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	18

შ.პ.ს. "ზუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ცენტრი"
ს/ნ 400029580

აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში
რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-423943
მისამართი: ირ.ევდოშვილის ქ. # 18 თბილისი. საქართველო
ტელ: (+995) 5 77 258 – 425
ელ.ფოსტა: elisoap@gmail.com



Accounting and Auditing Center LLC Reg. 400029580

Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision
SARAS-F-423943

Address: 18 Ir. Evdoshvili str. Tbilisi, Georgia

Mob: (+995) 5 77 258 – 425

Email: elisoap@gmail.com

Accounting
Audit center

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საგურამო ენერჯი“ – (ს/კ 206337007)
2022 ფინანსური ანგარიშგება

29 ივნისი 2023 წელი

დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა

შპს „საგურამო ენერჯი“-ის ხელმძღვანელობას 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საგურამო ენერჯი“-ს საქმიანობის სპეციფიკური ფუნქციონალური დატვირთვის
ანალიზი და ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს პერიოდს, მდგომარეობით. ასევე, აღნიშნული
თარიღით დასრულებული წლის სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების
ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი წარმოადგენს ერთადერთ აღიარებულ და ხელმისაწვდომ საშუალებას,
რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ინფორმაციის სანდოობის ყველაზე მაღალ ხარისხს. ფინანსური
ანგარიშგებით დგინდება ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების სიზუსტე და მისი შესაბამისობა ფინანსური
აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან, რაც თავისთავში მოიცავს:

- ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების (მოგება-ზარალი), ფულადი სახსრების მოძრაობისა და საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგების აუდიტს;
- საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების შესაბამისობის დადგენას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და კრიტერიუმების მიმართ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშზე:

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს-ს შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო. ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე. თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაბამისი სააღრიცხვო პრინციპები და თანმიმდევრულად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს გონივრული და წინდახედული შეფასებები;
- განაცხადოს მოხდა თუ არა ფასს-ის მოთხოვნების დაცვა, ხოლო არსებითი დარღვევის შემთხვევაში განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადობის პრინციპით.
- შეიმუშაოს, დანერგოს და შეინარჩუნოს ეფექტური და ხარისხიანი შიდა კონტროლის სისტემა ორგანიზაციაში;
- აწარმოოს და შეინარჩუნოს სათანადო სააღრიცხვო ჩანაწერები, რომელიც საიმედოდ და ზუსტად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას ნებისმიერი დროისთვის და რომელიც უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება იყოს ფასს-თან შესაბამისობაში;
- შეინარჩუნოს სავალდებულო სააღრიცხვო ჩანაწერები ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების დაცვით, იმ იურისდიქციის შესაბამისად, რომელშიც ორგანიზაცია ფუნქციონირებს;
- იმოქმედოს იმგვარად, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის აქტივების დაცვა და აღმოაჩინოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

აუდიტის პასუხისმგებლობა:

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული აუდიტის საფუძველზე, გამოთქვით მოსაზრება შპს „საგურამო ენერჯი“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტს წარემართავთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან, „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკური ნორმების შესაბამისად.

აუდიტის მიერ გამოთქმული მოსაზრების ფორმა დამოკიდებულია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაბამისი საფუძვლისა და კანონმდებლობის მოთხოვნებზე.

აუდიტი გულისხმობს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე, განმარტებებზე და აუდიტორული მტკიცებულების მოპოვებაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოდგენილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. რისკის შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის არსებულ სისტემებს, რომლებიც ქმნის შესაბამის პირობებს ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. თუმცა, აუდიტის უშუალო მიზანს არ წარმოადგენს მოსაზრების გამოხატვა ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობაზე. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, სააღრიცხვო შეფასებების სისწორის და მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ განვახორციელეთ შპს „საგურამო ენერჯი“-ს ფინანსური აღრიცხვის სრული ანალიზი, ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისათვის გამოყენებულია პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები, რომელიც მოიცავს ფულადი სახსრების მოძრაობას 12 თვის მანძილზე და სრულდება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „საგურამო ენერჯი“-მ აუდიტორებს წარუდგინა პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები, რომელიც შედგენილია საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტორული მტკიცებულებები, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ აუდიტორული შემოწმების პროცესში, რომელიც ზემოთ არის განმარტებული, საკმარის და სათანადო საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

დასკვნა

1. ჩვენ ჩავატარეთ შპს „საგურამო ენერჯი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის, კაპიტალის ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „საგურამო ენერჯი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ასევე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, კაპიტალის ცვლილებას და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2. შპს „საგურამო ენერჯი“-ს მიერ წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზი ეყრდნობა გადახდის დამადასტურებელ პირველად საბუღალტრო დოკუმენტებს. პირველადი დოკუმენტები შედგენილია საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ნორმატიული აქტების და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტორი, დირექტორი:



ელისო აფციაური

29 ივნისი, 2023 წელი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	5,043	4,940
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	56	483
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,099	5,423
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	5,903	3,510
სხვა მიმდინარე აქტივები		86	47
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	15	24	152
სულ მიმდინარე აქტივები		6,013	3,709
სულ აქტივები		11,112	9,132
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	230	230
გაუნაწილებელი მოგება		7,694	5,571
სულ კაპიტალი		7,924	5,801
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	2,712	3,102
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		26	25
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2,738	3,127
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	11	402	152
სავაჭრო და სხვა დავალიანება	12	45	49
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		3	3
სულ მიმდინარე ვალდებულებები		450	204
სულ ვალდებულებები		3,188	3,331
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,112	9,132

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 29 ივნისს



ირაკლი ბაბუნაძე
გენერალური დირექტორი



ნინო წერჭიჭიძე
ფინანსური დირექტორი
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში).

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი-იჯარიდან		2,819	2,805
სულ შემოსავალი		2,819	2,805
წყლის და ელ.ენერგიის ხარჯები		(246)	(254)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	13	(125)	(99)
გადასახადები საშემოსავლო გადასახადის გარდა		(52)	(57)
პროფესიული გასამრჯელო		(2)	(9)
		(425)	(419)
EBITDA		2,394	2,386
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	(300)	(331)
საკუროსი სხვაობიდან მიღებული შემოსულობა		443	164
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	(414)	(421)
მოგება საშემოსავლო გადასახადის ხარჯის გაწევამდე		2,123	1,798
საშემოსავლო გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		2,123	1,798
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,123	1,798

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	230	3,773	4,003
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,798	1,798
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	230	5,571	5,801
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,123	2,123
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	230	7,694	7,924

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე		2,123	1,798
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	414	421
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა		(443)	(164)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	297	331
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება			
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(2,393)	(2,837)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, საშემოსავლო გადასახადის გარდა		-	70
სხვა მიმდინარე აქტივების ცვლილება		(39)	(27)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		13	1
ცვლილება სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		-	3
წმინდა ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილების შემდეგ		(28)	(404)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები ძირითადი საშუალებების შეძენა	6, 7	(87)	(160)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(87)	(160)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები გადახდილი პროცენტი	11	-	(282)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		-	(282)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(13)	(33)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება		(128)	(880)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	152	1,032
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	24	152

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „საგურამო ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2008 წლის 11 დეკემბერს, თბილისის საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილების საფუძველზე და ის წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2014 წლის დეკემბერში შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზმა“ შეიძინა კომპანიის 100%-იანი წილი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის მწარმოებელი ძირითადი საშუალებების იჯარით გაცემა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0179, მედეა (მზია) ჯუღელის ქ. #10.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია სს „ჯორჯია გლობალ იუთილითიზ“ (შემდგომში „ჯი ჯი იუ“ ან „მშობელი კომპანია“). 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელ საწარმოს სრულად ფლობდა სს „საქართველოს კაპიტალი“ („შუალედური მშობელი საწარმო“) შვილობილი საწარმო, რომლის საბოლოო მშობელი საწარმო იყო დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს კაპიტალი“ („საქართველოს კაპიტალი“ ან „საბოლოო მშობელი საწარმო“). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ახალი მაკონტროლებელი მშობელი საწარმო არის FCC Aqualia („Aqualia“) მას შემდეგ, რაც სს „საქართველოს კაპიტალი“ 2022 წლის თებერვალში „ჯორჯია გლობალ იუთილითიზის“ წყლის ბიზნესის 80% გაასხვისა.

კომპანიის საქმიანობას წარმართავს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“ („GWP“ ან „მმართველი კომპანია“), მშობელი კომპანიის 100%-იანი შვილობილი კომპანია, მართვის სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. საოპერაციო გარემო

2020 წლის მარტის თვეში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (კოვიდ-19) გლობალურ პანდემიად გამოაცხადა.

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კოვიდ-19-ის ეპიდემიის აფეთქების ადრეულ ეტაპზე, დააწესა რამდენიმე შეზღუდვა, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მათ შორის გაატარა კომუნალურ სექტორთან დაკავშირებული ეკონომიკური მხარდაჭერის ინიციატივა. სხვა ზომებთან ერთად, ინიციატივების პაკეტი მოიცავს წყალმომარაგების მომსახურებების საფასურის დაფარვას კონკრეტული კატეგორიის ფიზიკური პირებისთვის. 2021 წლის თებერვლიდან ეკონომიკა სრულად გაიხსნა წლის უმეტესი ნაწილის განმავლობაში. კომუნალური წყალმომარაგების ბიზნესმა ზომიერი ზრდა განიცადა კომერციულ მომხმარებლებზე წყლის მიყიდვის მოცულობაში, რომლებმაც კოვიდ-19-ის პანდემიისგან სწრაფი აღდგენის ტემპი უჩვენა. ეკონომიკური საქმიანობების აღდგენის შემდეგ წლის განმავლობაში გაიზარდა წყლის გაყიდვებზე მოთხოვნა, რაც პანდემიამდე დონეს 2021 წლის ბოლოსთვის მიუახლოვდა.

2022 წელს საქართველოს ეკონომიკა განაგრძობდა დადებით დინამიკას პანდემიისგან აღდგენის მხრივ. ამ ტენდენციას ასევე მხარს უჭერდა გლობალური ეკონომიკური აღდგენა და მაღალი ფასები გლობალურ სასაქონლო ბაზრებზე. ბოლო დროს კომპანიამ მის ბიზნესზე კოვიდ-19-ის ნარჩენი გავლენა შეაფასა, როგორც უმნიშვნელო.

უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად, მრავალმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ შეაჩერა ეკონომიკური სანქციები დაუწყეს რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებს და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, ასევე გაუფასურდა რუსული კომპანიების და სხვა ბაზრების ლისტინგში შემავალი რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი საექსპორტო პარტნიორები არიან. მოსალოდნელია, რომ ომს უარყოფითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე, რადგან ომი კვლავ მიმდინარეობს, შეუძლებელია კომპანიის საქმიანობაზე გავლენის საიმედოდ შეფასება, რადგან არსებობს განუსაზღვრელობა ზოგადად გავლენის სიმძლავრესთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა ადევნებს თვალს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანია უკრაინის ომს მიიჩნევს საბალანსო უწყისის შემდგომ არამაკორექტირებელ მოვლენად.

კომპანია მუდმივად აკონტროლებს უკრაინაში ომის გავლენას მის საქმიანობაზე. ხელმისაწვდომი ინფორმაციის ფარგლებში ომის ეფექტი ასახულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

3. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის ანგარიშგებისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

რამდენიმე ცვლილება და ინტერპრეტაცია პირველად იქნა გამოყენებული 2022 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“
- ▶ „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - ბასს (IAS) 16-ის ცვლილება
- ▶ „წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება
- ▶ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები“.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს (IFRS) 15-ის შესაბამისად.

შემდგომი შეფასების მიზნით, კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს საფაქრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, გაცემულ სესხებს და ბანკში არსებულ ნაღდ ფულს. კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს. კომპანიის ფინანსური აქტივები შედის მიმდინარე აქტივებში, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივი არ არის. ასეთი სესხები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებს.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება შემოსულობაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული დებიტორული დავალიანებების და სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე გადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით.

დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილების გზით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემოზღუდვა.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის შემთხვევაში, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ექვეტური საპროცენტო განაკვეთით.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება და ზარალის ოდენობა განისაზღვრება. მე-7 შენიშვნაში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან და ჩამოწერასთან მიმართებაში გამოყენებული შეფასებების და მსჯელობების შესახებ.

გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად ფასდება მსესხებლის ფაქტიური ან ნაგულისხმევი საკრედიტო რეიტინგის, მსესხებლის დაკავშირებული მხარეებისგან მხარდაჭერის არსებობისა და შეფასების თარიღში ხელმძღვანელობისთვის ხელმისაწვდომი სხვა შესაბამისი ინფორმაციის განსასაზღვრად, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაციის ჩათვლით, რომელზე წვდომაც ზედმეტი ხარჯის ან ძალისხმევის გარეშე ხდება.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და მნიშვნელოვანი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება საქართველოს ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხისგან.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და აღიარებული გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. ამ დანახარჯებში ასევე შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

უმნიშვნელო შეცვლების და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევითანავე აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

აქტივის ცვეთა, ათვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო გამოყენების ვადებია:

	სასარგებლო გამოყენების ვადები
უმრავი ქონება	60 წელი
ინფრასტრუქტურული აქტივები	8-45 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5-10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია აქტივის გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მომცემებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შემენილი არამატერიალური აქტივები, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა სასრულია, აისახება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის მოპოვებულ ლიცენზიებს, რომელთა ამორტიზაცია ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი მოსალოდნელი საექსპლუატაციო ვადის განმავლობაში (3-5 წელი), დაწყებული იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ხელმისაწვდომი გახდა მოხმარებისთვის.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იზეგრება საქართველოში, საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იზეგრება საშემოსავლო გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოუშვებთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს და ანაზღაურებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (სააქციო კაპიტალთან, წილობრივ მონაწილეობასთან და სხვა დაკავშირებული ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალის აღიარება საწესდებო კაპიტალად ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში მისი შეტანის შემთხვევაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) ვალდებულება წარმოიშობა საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლედი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშგაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშგაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს საპროცენტო ხარჯს, რომელიც დაანგარიშდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის ნასესხები სახსრები არ უკავშირდება აქტივის შეძენას, მშენებლობას ან წარმოებას, ხოლო სესხით სარგებლობის დანახარჯები სრულად ტარდება ხარჯში მათი წარმოშობის პერიოდში.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ არის განსაზღვრული ფასს-ში და კომპანია მას განსაზღვრავს, როგორც შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე და ის მიიღება, როგორც კომპანიის მოგება საშემოსავლო გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, დაფინანსების ხარჯები და საკუთრივ სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთთან გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით ან უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სხვა ოპერაციებით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც წმინდა საკურსო შემოსულობა ან ზარალი.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია შემოსულობის თანხით შემცირებულ საკურსო ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად იყო 2.7020 და 3.0976 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოიპოვებს. საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემით. ქვემოთ მოცემული კონკრეტული პრინციპები ასევე გამოიყენება კომპანიის შემოსავლების მთავარ კლასებთან მიმართებაში:

შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან

შემოსავალი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან აღიარებულია მრიცხველით აღრიცხული მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე და შესაბამისი ფიქსირებული ტარიფის გამოყენებით, მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. კლიენტები ჩვეულებრივ ვალდებული არიან გადაიხადონ შესაბამისი ნაშთები მომდევნო თვის ბოლოსთვის.

წყლის და ელექტროენერგიის ხარჯი

წყლის და ელექტროენერგიის ხარჯი მოიცავს წყლისა და ელექტროენერგიის გადაცემის ღირებულებას, რომლებიც უმეტესად გამოიყენებიან ელექტროენერგიის წარმოების მიზნით.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, ამგვარი აქტივი აკმაყოფილებს გაუფასურებულის განმარტებას, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შეგებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გარჩია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაცემულ სესხებზე

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მდგომარეობით, კომპანიას გაცემული ჰქონდა სესხები მშობელი კომპანიის საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებზე. გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად ფასდება მსესხებლის ფაქტური ან ნაგულისხმევი საკრედიტო რეიტინგის, მსესხებლის დაკავშირებული მხარეებისგან მხარდაჭერის არსებობისა და შეფასების თარიღში ხელმძღვანელობისთვის ხელმისაწვდომი სხვა შესაბამისი ინფორმაციის განსასაზღვრად, მათ შორის საპროგნოზო ინფორმაციის ჩათვლით, რომელზე წვდომაც ზედმეტი ხარჯის ან ძალისხმევის გარეშე ხდება.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

კომპანია ყოველწლიურად ატარებს გაუფასურების ნიშნების არსებობის ანალიზს, ბასს (IAS) 36-ის (აქტივების გაუფასურება). შესაბამისად, კომპანიამ შეაფასა გაუფასურების და აღდგენის მაჩვენებლები და დაასკვნა, რომ 2022 და 2021 წლებში ძირითადი საშუალებების პოტენციური გაუფასურების და ადრე აღიარებული გაუფასურების აღდგენის ნიშნები არ არსებობს.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, საფარადო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება, რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება. ახალი შემოსვლების სასარგებლო მომსახურების ვადები დგინდება სემეკის მოთხოვნების გათვალისწინებით.

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2022 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრასტრუქ- ტურული აქტივები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	17	1,146	5,675	24	477	7,339
შესყიდვები	-	-	-	-	514	514
გადატანები	-	-	819	-	(819)	-
2022 წლის 31 დეკემბერი	17	1,146	6,494	24	172	7,853
დარიცხული ცვეთა						
2021 წლის 31 დეკემბერი	-	105	2,270	24	-	2,398
ცვეთის დანარიცხი	-	19	392	-	-	411
2022 წლის 31 დეკემბერი	-	124	2,662	24	-	2,810
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	17	1,041	3,405	-	477	4,940
2022 წლის 31 დეკემბერი	17	1,022	3,832	-	172	5,043

ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2021 წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	მიწის ნაკვეთები	უძრავი ქონება	ინფრასტრუქ- ტურული აქტივები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2019 წლის 31 დეკემბერი	17	1,146	5,675	24	388	7,250
შესყიდვები	-	-	-	-	89	89
2021 წლის 31 დეკემბერი	17	1,146	5,675	24	477	7,339
დარიცხული ცვეთა						
2019 წლის 31 დეკემბერი	-	86	1,867	22	-	1,975
ცვეთის დანარიცხი	-	19	403	2	-	423
2021 წლის 31 დეკემბერი	-	105	2,270	24	-	2,398
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2019 წლის 31 დეკემბერი	17	1,060	3,807	2	388	5,274
2021 წლის 31 დეკემბერი	17	1,041	3,405	-	477	4,940

კომპანიის ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს მილებს, ტურბინებს და ელექტრო მოწყობილობებს, რომლებიც ელექტროენერგიის საწარმოებლად გამოიყენება.

7. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიან აქტივებში გადახდილი ავანსები	56	412
არამატერიალური აქტივები	-	71
სხვა გრძელვადიანი აქტივები, სულ	56	483

არამატერიალური აქტივების და დაგროვილი ამორტიზაციის პირვანდელი ღირებულებამ და გაუფასურებამ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 101 ლარი და 45 ლარი (შესაბამისად) შეადგინა (2021 წ.: 101 ლარი და 30 ლარი).

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აღიარებული ჰქონდა 5,903 ლარის სხვა დებიტორული დავალიანებები საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან (2021წ.: 3,510) და არ ჰქონია სავაჭრო დებიტორულ დავალიანება 2022 და 2021 წლებში.

კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს და გამოხატულია ლარში.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები ვადაგადაცილებული არ არის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

2022 წელს კომპანიამ აღიარა 2,819 ლარის ოდენობით შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (2021 წ.: 2,805 ლარი). 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება 5,903 ლარის ოდენობით (2021 წ.: 3,510 ლარის ოდენობით, რომელიც შესულია სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებებში).

10. კაპიტალი**საწესდებო კაპიტალი**

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მთლიანად ჰქონდა გადახდილი 230 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალი.

2022 წლისა და 2021 წლის არ მომხდარა დივიდენდების გამოცხადება და მშობელი კომპანიისთვის გადახდა.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარი, ისე, რომ მან შესძლოს პარტნიორებისთვის უკუგების, ხოლო სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტიანი იყოს.

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კომპანია კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ საკუთარ კაპიტალს. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

2022 და 2021 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

11. ნასესხები სახსრები

	2022 წლის 31 დეკემბერი		2021 წლის 31 დეკემბერი	
	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	მიმდინარე ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები
სესხები მშობელი კომპანიისგან	402	2,712	152	3,102
სულ ნასესხები სახსრები	402	2,712	152	3,102

2022 წლის 31 მდგომარეობით მშობელი კომპანიისგან ნასესხები სახსრები მოიცავს აშშ დოლარში გამოხატულ სესხებს 3,114 ლარის ოდენობით (2021: 3,254).

2021 წელს კომპანიამ გასწია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები 297 ლარის (2021 წ.: 331 ლარი) ოდენობით.

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

11. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

	ნასესხები სახსრები
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,406
ვალუტა ნასესხები სახსრებიდან	(201)
დარიცხული პროცენტი	331
გადახდილი პროცენტი	(282)
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3,254
ვალუტა ნასესხები სახსრებიდან	(437)
დარიცხული პროცენტი	297
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	3,114

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

12. სავაჭრო და სხვა დავალიანება

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	45	49
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	45	49

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება პროცენტიანი არ არის და, ჩვეულებრივ, 60 დღიან ვადაში იფარება.

13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2022	2021
ხელფასები	125	99
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	125	99

14. პირობითი ვალდებულებები**გარემოსდაცვითი საკითხები**

საქართველოში განვითარების ეტაპზეა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულება, ხოლო სამთავრობო უწყებების სააღსრულებო პოზიცია მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აღსრულების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსათვის ზიანის მიყენების თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

15. ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა****ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში**

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა რამე სხვა მნიშვნელოვანი გადაგადაცილებული ფინანსური აქტივები.

გაცემული სესხები**ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი**

თავისი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია გასწევს საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას.

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

15. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკი (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ განიცადოს ზარალი, თუ მისი კლიენტები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას, კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი ხდება უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

- ▶ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში: 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ფულადი ნაშთი 24 ლარის (2021: 152 ლარი) ოდენობით განთავსებული იყო ბანკებში, რომელთა რეიტინგები იყო Standard & Poor'-ის „BB-/bb-“, Moody's-ის „B1/NP“ (FC) & „Ba3/NP“ (LC) და Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს „BB-/bb-“ რეიტინგი (2021 წ.: 152 ლარი);
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-7 შენიშვნა);
- ▶ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციებისთვის გაცემული გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვის ურად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	1 წელზე ნაკლები	1-3 წელი	3-5 წელი	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	566	3,239	-	3,805
სავაჭრო და სხვა დავალიანება	45	-	-	45
სულ მომავალი გადახდები	611	3,239	-	3,850
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	339	620	3,403	4,362
სავაჭრო და სხვა დავალიანება	49	-	-	49
სულ მომავალი გადახდები	388	620	3,403	4,411

(რიცხვები მოცემულია ათას ლარში)

16. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე ვადებით, პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, განხილული, განხორციელდა მკაცრად კომერციული საწყისების პრინციპით.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები შედგება კომპანიის ისეთი „დოზილი“ საწარმოებისგან, რომლებსაც აკონტროლებს კომპანიის მშობელი კომპანია.

სხვა დაკავშირებული მხარეები წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალის“ წევრებით 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა კომპანიის პარტნიორი საწარმოებისა, რომლებსაც მშობელი კომპანია მართავს.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	2022 წლის 31 დეკემბერი		2021 წლის 31 დეკემბერი	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებ ული საწარმოები	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებ ული საწარმოები
საგაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით	-	5,903	-	3,510
	3,254	-	3,406	-
წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი სესხის და პროცენტის დაფარვა წლის განმავლობაში	297	-	331	-
	-	-	(282)	-
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ნასესხები სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	(437)	-	(201)	-
	3,114	-	3,254	-

16. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

	2022		2021	
	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებ ული საწარმოები	მშობელი კომპანია	საერთო კონტროლს დაქვემდებარებ ული საწარმოები
შემოსავალი და ხარჯები				
